ცნობის ფურცელი

№ 2565 ორშაბათი, 26 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2565

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატება—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
პ. ი. პალლიზენ
[illegible] ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.
ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკი, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნების ტელეფონი № 679. (0—148)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
ბ. ა. ბეილი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
მძ. ქალი მ. ქ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
საღამოთი:
მ. მ. ხოზოლევსკი.—ქირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ზევითამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წო.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ჟორდანიის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ახალი ამბავი

◆ **„წერა-კითხვის საზოგადოების“** გამგეობამ მიიღო ქიათურის ბანკის წევრთა კრებისაგან ასი მანეთი „საზოგადოების“ იუბილეს აღსანიშნავად.

◆ მდგომარე წელს შემოდგომიდან **სოხუმში არსდება** რეალური სასწავლებელი. მთავარ-მართებლის შუამდგომლობის თანახმად, უმაღლესმა მთავრობამ გადასდო ამისთვის საჭირო ფული.

◆ უკვე ვწერდით, რომ **კახეთში მტევანს რაღაც სენი გაუჩნდა.** მიწათ-მოქმედების რწმუნებულის განკარგულებით, სპეციალისტი იგზავნება ამ სენის გამოსაკვლევად.

◆ ხაზინამ 93,450 მანეთი გადასდო ამიერ-კავკასიის **ქალაქების დასახმარებლად** ჯარისთვის ბინების დაქირავების დროს. ამ ფულიდან ტფილისს მიეცემა—65,000 მან., ქუთაისს—10,000 მ., ახალციხეს—5,000 მ., გორს—2,500 მ., სიღნაღს—100 მან., ახალქალაქს—1000 მანეთი.

◆ ეს მეოთხე თვე იქნება **ტფილისის მოქალაქეთა** მამასახლისობა დაევალა, როგორც კანდიდატს, სტეფანე დანდუროვს, რადგან ყოფილმა მამასახლისმა ბულდანოვმა სამსახურს თავი დაანება ვადის გასვლამდე. ბულდანოვი არავითარ ჯამაგირს არ იღებდა, ბ. დანდუროვს კი მოქალაქეთა რწმუნებულებმა 2000 მანეთი დაუნიშნა წელიწადში. რწმუნებულთა ეს დადგენილება გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. არ ვიცით, რწმუნებულთა მოლოდინი ბ-ნმა დანდუროვმა როგორ გაამართლა და კეთდება თუ არა რამე მოქალაქეთა გამგეობაში, მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ შემდეგი არა სასურველი და, თუ გნებავთ, უცნაური მოვლენაც. საქმე ის არის, რომ ბ-ნი დანდუროვი ერთსა და იმავე დროს მოქალაქეთა მოურავადაც არის და ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობაშიაც მსახურებს. ბ-ნი დანდუროვი დღისით რკინის გზის გამგეობაში მსახურებს, ხოლო საღამოთი თითქმის შუაღამემდე მოქალაქეთა გამგეობაში. ამ გარემოების გამო მეტად დატანჯულნი არიან ხელოსანთა გამგეობის მოსამსახურენი, რომელთაც დღეში 12 საათზე მეტი შრომა უხდებათ. დღისით უმამასახლისოდ არიან და საღამოთი ძალაუნებურად უნდა მივიდნენ სამსახურში. გარდა ამისა უხერხულ მდგომარეობაშია უმრავლესობა მთხოვნელებისა. ხშირად ერთის საათის საქმისთვის მთელი დღე ეკარგებათ მთხოვნელებს, რადგან თანხმობა და ხელის მოწერა ქაღალდზე გვიანდება მამასახლისის სხვა დაწესებულებაში სამსახურისა გამო. ჩვენის აზრით, 2000 მანეთი ძალიან კარგი ჯამაგირია და ხელოსანთა რწმუნებულების კრებამ გადაჭრით უნდა მოსთხოვოს ბ-ნ დანდუროვს, ან სხვაგან სამსახურს თავი გაანებოს ან მამასახლისობიდან გადადგეს. თუ ბ-ნ დანდუროვს ხელოსანთა კეთილდღეობისთვის გული შესტკივა, თვით უნდა ეფიქრა და გადაეწყვიტა ეს საქმე.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა წინადადება ქალაქის მოურავისა იმის შესახებ, რომ შუა ბაზარში სულ მოიშალოს სავაჭრო სამეურნეო პოლიციისათვის აშენებული სადგომი, რადგან ეს სადგომი ძალიან ავიწროებს ისედაც ვაჭრებისათვის პატარა მოედანს. გამგეობამ დაადგინა, დაავალოს საამშენებლო განყოფილებას, შეადგინოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა პოლიციის აგენტებისათვის ახალ ქვის სადგომის ასაშენებლად სხვა ადგილს. სადგომის ასაგებად გამგეობამ გადასდო 500 მან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობაში წარდგენილ ცნობებით, 1 იანვრიდან 24 ივლისამდე სააუქციონო ზალაში საზოგადო ვაჭრობით გაყიდულა სულ 23705 მან. ნივთები.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც „ნოვოსტი“-ს სწერენ, ყაზანში მოპარულ ღვთის მშობლის ხატს ბევრი ძვირფასი ნივთები ჰქონდა, ასე რომ ეს ხატი 100,000 მანეთზე მეტად ღირდა თურმე. ამ ხატის ისტორია 1579 წლიდან იწყება. იმის დასაჭერად, ვინც ქურდს იპოვნის, გადადებულია 4000 მანეთი. ამავე გაზეთის სიტყვით, ქურდის კვალისთვის უკვე მიუგნიათ. ქურდი, როგორც ამბობენ, ვიღაც ჩაიკინია. ჩაიკინის დედას უთქვამს, ჩაიკინმა და იმის საყვარელმა ხატი დასწვეს აქ ბუხარში, ხოლო ნივთები დამალესო. ზოგიერთი ნივთი უპოვნიათ კიდეც. ჩაიკინი ცნობილი ქურდი და ავაზაკი ყოფილა. როდესაც დაიჭირეს, ჯიბეში ათი სხვა-და-სხვა პასპორტი აღმოაჩნდა.

◆ 13 ივლისს სარატოვის მახლობლად ერთ გორაკზედ საიდუმლო ხატი აღმოჩნდა. ეს ამბავი ხელად მოედო ქალაქს. ხმა გავრცელდა, ყაზანის ღვთის მშობლის ხატი სასწაულებრივ გამოეპარა ქურდებს და აქ მოვიდარ. დილიდან აუარებელი ხალხი გაუდგა გზას ხატის სანახავად. მალე მთელი გორა ხალხით გაივსო; შეიკრიბა რამდენიმე ათასი ქალი და კაცი. გორაზე ხალხს დაჰხვდა ჯვარი, ხოლო ჯვრის შუა გულში ხატი ყაზანის ღვთის მშობლისა, რასაკვირველია, სხვა და არა ის, რომელიც მოიპარეს. ხალხი მოწიწებით ჰკოცნიდა ხატს, უვლიდა გარეშემო და ლოცულობდა. მიჰყვანდათ კოჭლები, უსინათლოები, დასახიჩრებულნი. ხატის წინ მიწაზე მალე მთელი გორა გაჩნდა სპილენძისა და ვერცხლის ფულისა. ხელად გაჩნდნენ ჯვრებისა, სასულიერო შინაარსის წიგნაკებისა და სურათების გამყიდავნი და გაჩაღდა ვაჭრობა. ჯერ არ იციან, ვინ აიტანა გორაკზე ხატი. დაუნახავთ-კი, რომ ორი კაცი ასულა და შესდგომია იქ მუშაობას. საღამოთი ხატი ადგილობრივ ეკკლესიაში გადაუტანიათ, მაგრამ ხალხი შუაღამემდე არ დაშლილა.

◆ სარატოვის საეპარქიო სამრევლო-საეპარქიო სკოლების საბჭოს, „სარ. ლისტ.“-ის სიტყვით, ბრძანება გაუცია საეკკლესიო სკოლების მეთვალყურეთა საყურადღებოდ, რომ მოსწავლეთა საღამოების გამართვის დროს (დღესასწაულებში) მოსწავლეთ ცეკვა-თამაშის ნება არ მიეცეთ.

თეატრი

ყვირილა. ძალიან მოგვიხშირეს წარმოდგენები. 29 ივლისს ქუთაისის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „ექიმი შტოკმანი“, 17 ივლისს ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დასდგეს „ფული და ბ. რისკი“, 18 ივლისს ქუთაისის დასმა დასდგა „ხცოვრების გმირი“ და „დედის ერთა“. ასე ხშირ-ხშირი წარმოდგენები და ისიც ცუდად ჩატარებული, ყოველ ხალხის უკარგავს მაყურებელს და შემდეგისთვის ქუდიც რომ შეუგდო თეატრში, მაინც არ შევა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სცენის მოყვარეთა დასი შესდგა, მუყაითადაც მოჰკიდეს ხელი საქმეს და ერთი წარმოდგენაც გამართეს, მაგრამ მაინც დიდი სიფრთხილე ჰმართებთ, რომ ცუდი თამაშით დამსწრეთ გული არ აუცრუონ. გარდა ქართულ წარმოდგენებისა რუსულ წარმოდგენების დადგმასაც აპირებენ 25 ივლისს ქუთაისიდან მოვა კრასოვის დრამატიული დასი და გამართავს რამდენსამე წარმოდგენას. შჩეპკინის მეთაურობით 20 ივლისს გამართული „ოპერა-ფეერია“-თი უკმაყოფილონი არიან აქაურნი. ამისდა მიუხედავად 22 ივლისს კიდევ გაიმეორეს იგი.

სა—ლი.

წერილები

ჭიათურა. აქაც დაფაცურდნენ ხოლერის საწინააღმდეგოდ. როგორც სარწმუნოდ გადმოგვცეს, 16 ივლისს მრეწველთა საბჭოს მოლაპარაკება ჰქონია იმის შესახებ, თუ რა ღონის ძიება იხმარონ ხოლერასთან საბრძოლველად. როგორც გადმოგვცეს, ადგილობრივ სასანიტარო კომისიისათვის მიუმატებიათ კიდევ სამი კაცი და დაუვალებიათ ყოველივე ღონის ძიება იხმარონ ჭიათურა-ჩიქორის ბაზრის გასასუფთავებლად; გადაუდვიათ 1000 მანეთი; ეს ფული უნდა მიეცეს იჯარადარს, რომელსაც დავალებული ექნება ყველა ეზოების გასუფთავება, ხოლო თვითეულმა ოჯახმა უნდა იხადოს თვეში ათი შაური; ეს ფული შედის საბჭოს კასაში; ამორჩეულ იქნა ზედამხედველი კომისია, რომელმაც კონტროლი უნდა გაუწიოს იჯარადარს და სანიტარებს; დაუდგენიათ მოსპონ ოჯახებში ჭიათურასა და ჩიქორაში ღორის ყოლა. დაევალათ მადნის ზედამხედველ-პასუხის მგებელთ სანიტარულ მდგომარეობას თვალ-ყური ადევნონ; დაევალა ადგილობრივ მეაფთიაქეს იქონიოს ის წამლები, რაც ხოლერასთან საბრძოლველად არის საჭირო და სხვა და-სხვა. ხოლო საჩხერეზედ, რომელიც საშიშ მდგომარეობაშია სანიტარის მხრივ, კაცი ხმას არ იღებს: იქ არც სანიტარია, არც ბაზრის დეპუტაცია და არც სხვა ვინმე, რომ იზრუნოს საჩხერის სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

არა მგონია, ისეთი უსუფთაობა, როგორიც საჩხერეშია (მეტადრე ებრაელების ქუჩაში), კიდევ იყოს სადმე ზემო იმერეთში. საჭიროა და ძრიელ საჭირო, ან საჩხერეშიაც დაარსდეს სასანიტარო კომისია, ან და დაუქვემდებარონ ჭიათურის სასანიტარო კომისიას; დაუნიშნონ ცოტა რამ სასყიდელი, რომ კვირაში ორი დღე ავიდნენ საჩხერეში და მიიღონ საჭირო ზომები. ბევრგან მინახავს ყასბების თავგასულობა-ალვირ ახსნილობა, მაგრამ, ისეთი-კი, როგორიც ჭიათურაშია, არსად. ჯერ არის და ხორცი ხომ საქონლისას არა ჰგავს, თუმცა ნიხრი კარგია (11 კაპ. გირ. მესამე ხარ.). ამას ვინა სჩივის, სამწუხარო ის არის, რომ აყროლებულ ხორცითა ჰკვებავენ მცხოვრებთ. მე თვითონ ორჯელ-სამჯელ მქონდა შემთხვევა მივსულიყავ ხორცის სასყიდლად, ვიფიქრე არ მოვტყუვდები მეთქი, მაგრამ, როდესაც ვთხოვე, ძველ ხორცს ნუ მომყიდით-მეთქი, ასე მიპასუხეს: „გინდა თუ არა, ძველიც უნდა წაიღო ახალთან ერთად, ახალს მარტო არა ვყიდითო“. მეტი ღონე არ იყო, წავიღე, მაგრამ ნახევარი გადავყარე, რადგან ყარდა. არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ აქ განაპირა დუქნები ავაზაკების თავშესაფარიაო, მაგრამ ჯერ არავის მიუქცევია ამისათვის ყურადღება. წასულ კვირაში ნარიმან თაბაგარს, მძინარეს, დაეცა სამი კაცი, რომელთაც ბევრი სცემეს, შემდეგ წაართვეს ქამარი, საათი, ცოტაოდენი ფულიც და დასტოვეს ისე. რადგან სამივე ბოროტ-მოქმედნი ეცნო თაბაგარს, ისინი მეორე დღესვე დააპატიმრეს. აღმოჩნდნენ განაპირა დუქანში თავშეფარებულნი. მესამე დღეს ეს ვაჟბატონები ისევ გაუშვიათ.

ლადო გუბელი

ფოთი. 22 ივლისს, დილის ათ საათზე, „ნადეჟდას“ ამხანაგობის ფოთის აგენტი ბ-ნი მგელაძე ეტლით მოდიოდა სადგურიდან ნავთ-სადგურისაკენ. შუა გზაზე ბუჩქებიდან გამოვარდნილა ორი ბოროტგანმზრახველი, გაუჩერებიათ მეეტლე და შევარდნილან ეტლზედ ერთს დაუდვია რევოლვერი მგელაძისათვის გულზე და უთქვამს, მოიტა ფული, თორემ ეს არის მოგკალიო. იმასაც ამოუღია საფულე, რომელშიაც ყოფილა ფულად ოთხას მანეთამდის, კანტორის სხვა და სხვა საბუთები და მიუცია. ბოროტ-მოქმედნი ამას არ დასჯერებიან და დაუწყიათ ჯიბეების ჩხრეკა და რადგან სხვა ვერაფერი უნახავთ, ოქროს საათი წაურთმევიათ და გაქცეულან. ერთი ავაზაკი მეეტლესაც უცვნია და მედროგესაც (ეს უკანასკნელი იქვე მინავალა იმ დროს და ბოროტ-მოქმედთ გაუჩერებიათ). თუმცა გვარი ავაზაკისა არ იციან, მაგრამ ძლიერ ხშირი სტუმარი კი ყოფილა აქაურ სამიკიტნოებისა. ალბად, მეორეც, ჯერ აქაურებისთვის უცნობი, იმავე წრის ახალი წევრი იქნება. ბოროტ-მოქმედთა დასაჭერად სასტიკი ზომებია მიღებული.

ა. შუთისპირელი.

სიღნაღი. მიძინებულ, მიყრუებულ სიღნაღს ცოტა ზაფხული გამოაცოცხლებს ხოლმე. წელსაც ამ ზაფხულმა თავისი კვალი დააჩნია. წელს უფრო მეტი სტუმრები ეწვია სიღნაღს. ახმაურდა სიღნაღი, გაივსო სიღნაღის მოედან-ბულვარი ხალხით და გაისმა ყიჟინა. მოედანი ხომ, როგორც მოედანი, ყველასათვის თავისუფალია და აქაც ყველა თავისუფლად იყრის თავსა დიდი თუ პატარა, ცრუ და მავნე, მოხელე და უხელო, მოსწავლე და მასწავლებელი. წელს სხვა ელფერი დაეტყო და ამბებიც სხვანაირი ჰხდება. ხალხი თითქო შეიძრა ღრმა ძილისაგანაო, შეიმუჩნა, რაღაცას ჰგრძობს, რაღაცას ელის და რაღაცას თხოულობს, ხოლოდ ისე გამოურკვევლად, რომ ძნელია მისი გაგება. ვინ სიღნაღი და ვინ გაზეთი, მაგრამ აი გაზეთსაც ჰკითხულობენ და ვინც კითხვა არ იცის, ისიც სხვის შემწეობით სცდილობს ომის ამბის გაგებას...

20 ივლისს, ღამის სამ საათზე, რამდენიმე ბოროტი კაცი შეუვარდა სიღნაღელ მოქალაქეს ვაჭარს ნ. ოვაკიმოვს და სახლში მოკლეს საწოლ ოთახში ზედ სარეცელზედ. ცოლი ძირს გადმოეგდოთ, თვალები შეუკრავთ და უკითხნიათ, სადა გაქვთ ფული შენახულიო და რომ უფრო თავისუფლად ემოქმედათ, წაექციათ ცოლი და ზედ ლოგინი დაეყარათ. მეორე ოთახში-კი პატარა ქალი წოლილა, ოვაკიმოვის ცოლის და, ამ ქალს გაუგია თუ არა, გავარდნილა მეორე ოთახში და რა უნახავს საშინელი სანახაობა, შეხვეწნია, ქურდებს ოღონდა დას ნუ მომიკლავთ და მე გეტყვით საცა რამ ფული ან ნივთი გვაქ შენახულიო. მერე უეცრად გამოვარდნილა კარზედ და მოურთავს ყვირილი. მალე შეუპყრიათ ესეც, ჩაუჩრიათ პირში ხელსახოცი, მაგრამ კიდევ მოუხერხებია ყვირილი და ხმაურობაზედ ამათაც შეშინებიათ. ამასთან მოუსწრიათ კიდევაც ნივთებისა და ფულის ამოღება და გაქცეულან. პატარა ქალი გამოვარდნილა კარზედ, უკვლია, მერე ისევ სახლში შესულა და ქვეშაგებიდან თავისი და გამოუძვრია მისუსტებული. სიძე-კი რამდენსამე ალაგას იყო თურმე დაჭრილი და უსულოდ იდო. გაიქცნენ ბოროტ გამძრახველნი, მაგრამ პატარა ქალს ორის სახე დახსომებია. მეორე დღეს პოლიციას შეუყრია სიღნაღის კინტოები და უჩვენებია ამ ქალისათვის და ამას ორივენი უცვნია. ერთი თურმე 16 წლისაა და მეორე 18 წლისა. ამბობენ, ერთი გამოგდებული რეალისტიაო. ჯერ დანარჩენები არ უპოვნიათ და თუ თითონვე არ გასცეს, ვერც იპოვის ვინმე და არც ვინმე თავს შეიტკივებს ამაზედ.

რიგოსანი

ბორჯომი. მშვენიერ ბორჯომს აუარებელი ხალხი ეტანებოდა და ამ სამი წლის წინად მოაგარაკეთა რიცხვი ისე დიდი იყო, რომ ზოგნი სადგომებსაც კი ვერ შოულობდნენ და იძულებული იყვნენ აივნებზე მოთავსებულიყვნენ. მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო მოაგარაკეთა რიცხვმა ამ უკანასკნელ წლებში ძრიელ იკლო. წლევანდელი სეზონი, მაგ., აჩრდილს თუ წარმოადგენს უწინდელ წლების სეზონებისას. ხალხი შედარებით ძრიელ ცოტაა და ვინც არის, იმასაც რაღაც სიბეჩავე ეტყობა. სადგომები ბევრია გაუქირავებელი და პატრონები ამაოდ მოელიან მუშტრებს. ბორჯომის მშვენიერ პარკში უწინდელ მხიარულებისა და სიცოცხლის ნაცვლად რაღაც მძინარობა ჰსუფევს. ვერა ვხედავთ უწინდებურად ვერც წარმოდგენებს, ვერც კონცერტებს, ვერც ლექციების კითხვას და ვერც ექსკურსიებს. აქაურ მოწყენილ მოაგარაკეთა ერთად-ერთი სასიამოვნო გასართობი წელს ბაკურიანში გასეირნებაა რკინის გზით და მსურველიც ბევრია, მაგრამ რკინის გზის ადმინისტრაციას ისეთ დროს დაუნიშნავს მატარებლების მიმოსვლა, რომ თითქმის შეუძლებელი ჰხდება მოაგარაკეთათვის გასეირნება. ერთი მატარებელი მიდის დილის ცხრა საათზე და ნახევარ საათის შემდეგ უკან ბრუნდება ხოლო ამ მოკლე ხანში, ცხადია, წამსვლელი ვერ ასწრობს ვერც დასვენებასა და ვერც იქაურ მშვენიერ ბუნებით დატკბობას. თუ დარჩა და ნახევარ საათს უკან არ დაბრუნდა, იძულებულია იმ მატარებლით დაბრუნდეს, რომელიც ღამის ცხრა საათზე გამოდის ბაკურიანიდან და თორმეტ საათზე მოდის ბორჯომში. ხოლო შუაღამეზე მოგზაურობა თითქმის შეუძლებელი ჰხდება ისეთ მოაგარაკეთათვის, რომელნიც ცოლ-შვილით მიდიან ბაკურიანში, მით უმეტეს, რომ ვიწრო ლიანდაგიანის გზით მოგზაურობა დღისითაც კი შიშის ზარსა ჰგვრის მოგზაურებს, არამცთუ ღამით. ნუ თუ არ შეეძლო რკინის გზის ადმინისტრაციას ისეთ დროს დაენიშნა მატარებლების მიმოსვლა ბორჯომსა და ბაკურიანს შუა, რომ მოაგარაკენი დილით წასულიყვნენ ბაკურიანში, აქ ორი-სამი საათი დარჩენილიყვნენ, ესეირნათ და ისევ სინათლით დაბრუნებულიყვნენ? ასეთი განკარგულება მგზავრებისათვისაც სასიამოვნო და ხელ-საყრელი იქმნებოდა და რკინის გზასაც შემოსავალს შეჰმატებდა. უეჭველია გვეტყვიან: განა არ შეიძლება, რომ მოაგარაკენი დარჩნენ ღამით ბაკურიანში და მეორე ანუ მესამე დღეს დაბრუნდნენ დღისით, მაგრამ ესეც შეუძლებელია, რადგან ბაკურიანში ოთახების შოვნა ძლიერ ძნელია.

წყალტუბელი.

წერილი რედაქციის მიმართ

„ცნ. ფურ.“-ის მე-2537 ნომერში ჩემის წიგნაკის „მოულოდნელ სიკვდილის“ შესახებ ეწერა, რომ „მოულოდნელი სიკვდილი“ პაწაწკინა წიგნაკია და ორ შაურად-კი ღირს“-ო. იძულებული ვარ გაუწყოთ, რომ მე სრულიადაც არა მქონია აზრად ჩემ წიგნაკისთვის დიდი ფასი დამედო. წიგნაკი სხვა შემთხვევით დაიბეჭდა და მე თვით გამიკვირდა, როდესაც პირველად ვნახე ესეთი დიდი ფასი. ამ ჟამად ხსენებულ წიგნაკის გაყიდვით შემოვიდა სამი მანეთი. გაახლებთ ამ სამ მანეთს და გთხოვთ გადასცეთ იგი „წერა-კითხვის საზოგადოებას“ *). გაახლებთ დანარჩენსაც, უკეთუ შემოვიდა რამე.

ანეტა კაპანაძისა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივლისი

პეტერბურგი. გენ.-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 23 ივლისს: „22 ივლისისათვის იაპონელთა მოწინავე რაზმები ხაიჩენიდან 15 ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით, იდგნენ. მტრის ძლიერი ჯარი მიდის მდინარე სიდახიას ხეობისაკენ და მიაღწია ტანკანძამდე, ხაიჩენიდან 20 ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის ფრონტზე იაპონელები გროვდებოდნენ ლიაოიანის დიდ გზაზე, ხოლუნგოუს მიდამოებში. მათი მოწინავე რაზმი ერდახეში სდგას (ლიანდიანსიანიდან 5 ვერსის მანძილზე სამხრეთ აღმოსავლეთით). იაპონელთა დიდძალი ჯარი სდგას აგრეთვე გუძიაძი-ბენსიხუ-სიახენ-ფრანციაპუძას მიდამოებში. ბენსიხუსთან მტრის მოწინავე რაზმი ჯერ ისევ დაბანაკებულია მდ. ტაიძახეს მარცხენა ნაპირზე და უჭირავს ხეობაში გამოსასვლელი ვიწრო ხევები. იაპონელთა მოწინავე რაზმის ერთი როტა (100 კაცამდე) ბენსიხუს ახლო გადავიდა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ უკუგდებულ იქმნა და 22 ივლისს ისევ მარცხენა ნაპირზე დაბრუნდა, სიაოსირს-კი თავი დაანება. მტერს ჯერ კიდევ უჭირავს ცაიანჩანი“.

ლოზანნა. რუსეთის ელჩმა გადასცა შვეიცარიის მთავრობას რუსეთის მთავრობის პასუხი იმ ნოტაზე, რომელიც შეეხებოდა ბრძოლის ველიდან შვეიცარიის პოლკოვნიკის ოდეუს დათხოვნის საქმეს. რუსეთის მთავრობა ამბობს, რომ ოდეუმ, ერთ უცხოელ სამხედრო აგენტთან საუბარის დროს, გაჰკიცხა რუსის ჯარის მიერ ზარბაზნების მოხმარება; რუსეთის მთავრობამ ეს გარემოება თავდაუჭერლობათ ჩასთვალა პოლკოვნიკის მხრით.

ლონდონი. („რეიტ. სააგენტო“). იოკოჰამიდან იტყობინებიან, რომ რუსეთის პატარა გემმა, რომელიც ამას წინად იქმნა გადაკეთებული სამხედრო გემად, კურილის კუნძულებთან გააჩერა იაპონელთა გემი, რომელიც გაჩხრიკა და შემდეგ გაუშვა.

ალჟირი. გემი „მალლაკა“ ისევ პორტსაიდს წავიდა.

25 ივლისი

მოსკოვი. ქალაქმა გადასდო 20 ათასი მან. სანიტარო რაზმისათვის ეტლების საყიდლად და 12 ათასი მან. თბილ ტანისამოსის შესაძენად.

მოსკოვი. თავადმა ტრუბეცკოიმ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გენერალ-ადიუტანტს კუროპატკინს გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლების სახელით, რომელნიც თავმოყრილნი არიან მოსკოვში დაჭრილ მეომართა საჭიროების შესახებ სათათბიროდ: „ჩვენ ყველანი, ყველა რუსებთან ერთად, გულითა და ფიქრით თქვენთანა ვართ წინანდებურად მტკიცედ გვჯერა ღრმა რწმენის გამომხატველი თქვენი სიტყვები. ღმერთი იყოს თქვენი შემწე“.—კუროპატკინმა დეპეშით მადლობა გადაუხადა თავად ტრუბეცკოის.

24 ივლისი

სტამბოლი. („კორესპ. ბიურო“). მართალი გამოდგა ის ამბავი, რომ ბოლგარიიდან მაკედონიაში დაბრუნდა გადახვეწილთა 85%-ზე მეტი. 1800-ზედ მეტ მეამბოხეს დანაშაულობა ეპატიეს. პატიებულნი 22 ივლისამდე უნდა დაბრუნებულიყვნენ, მაგრამ, იმედი აქვთ, რომ ამ ვადას კიდევ მიუმატებენ.—ახლად დაწესებულ ჟანდარმერიაში თითქმის 25% ქრისტიანია; ადმინისტრაციასა, სასამართლო უწყებასა და პოლიციაში სამასზედ მეტია ქრისტიანი მოხელე; უფრო მეტიც იქნება, რადგან ახალ მოხელეების მიღება ჯერაც არ დაუსრულებიათ. მას შემდეგ, რაც რეფორმების შემოღება დაიწყეს, ათასზედ მეტი მოხელე დაითხოვეს სამსახურიდან და სამართალში მისცეს.

25 ივლისი

ვაშინგტონი. კონტრ-ადმირალ ჯუელს, რომელიც ამ ჟამად ნიცცაშია გემ „ოლიმპია“-სა, „ბალტიმორა“-სა და „კლევლენდ“-ით, ებრძანა, წავიდეს ესკადრით ოსმალეთში. ესკადრის დანიშნულება—სმირნაა.

სიმლა. ინგლისის მისსია 21 ივლისს ღხასსას მივიდა. ტიბეტელებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

რომი. კერძო აუდენციაზე პაპმა მიიღო ახლად დანიშნული მინისტრ-რეზიდენტი ვატიკანში ნარიშკინი, რომელმაც რწმუნების ქაღალდები გადასცა.

ბუდაპეშტი. ადგილობრივ თამბაქოს ქარხნის მაღაზიაში ცეცხლი გაჩნდა. ზარალი ორ მილიონ კრონამდეა.

მონტევიდეო. წუხელის, როცა პრეზიდენტი ბატლ ორდონეცი ქალაქში მიდიოდა, მისი ეტლის ქვეშ უუმბარა აფეთქეს. პრეზიდენტი არ დაშავებულა.

ვენა. 24 ივლისს გარდაიცვალა ბადენში გაზ. „ნოიე ფრაიე პრესსე“-ს სამუსიკო კრიტიკოსი ედუარდ ჰანსლიკი.

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,80	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	—	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88¾	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	388	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1866 წ.	298	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	258	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	„
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	183	„

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი.

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი, 40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-ში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (15—6—9)



СЪДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი ა. იფთ ვისა, № 92, საზაფხულო ს. ბრაანის ახლოს. (ფ.—176—66)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

---

*) ეს ფული დანიშნულებისამებრ გადაეცა.
რედ.